ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 04 სექტემბერი, 2014 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2014 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ, N1280 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მითაიშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი: ირაკლი ახალაძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

კონკურსის მეშვეობით ტბელ აბუსერისძის ქანდაკების
საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შესყიდვის
საკონკურსო კომისიის
ოქმი №5-2

ქ. ბათუმი, „4“ სექტემბერი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსანდრე მითაიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე-ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ირაკლი ახალაძე - საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი-საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსის დროებით მ/შ;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი);

ნინო ბერაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი“;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო - არქიტექტორთა საბჭოს თვმჯდომარე;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

არ ესწრებოდა: მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

დღის წესრიგი:	კონკურსის მეშვეობით ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 19 ივნისს გამოცხადებული N1280 კონკურსის შედეგების განხილვა.
მოისმინეს:	საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა თამაზაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 25 აგვისტოს 16^{00} საათამდე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: დავით ბოლქვაძემ (25.08,2014. 14:31 სთ) და გიორგი წულაძემ (25.08.2014. 11:23 სთ) დალუქული პაკეტები საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2014 წლის 4 სექტემბერს 12^{00} საათზე. კონკურსანტ გიორგი წულაძის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნებს, ხოლო დავით ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ. დოკუმენტში მითითებული არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავით ბოლქვაძეს საკონკურსო წინადადებას მიეცეს დისკვალიფიკავია თანახმად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი“-ს მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა.
განიხილეს:	საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტ გიორგი წულაძის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი, და მსჯელობის შედეგად მიიჩნია, რომ ნამუშევრის ვიზუალური მხარე და არქიტექტორული კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე კონკურსანტი - გიორგი წულაძე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
კომისიამ დაადგინა:	1. იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსის მეშვეობით ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში არ გამოვლინდა გამარჯვებული კონკურსი ჩაითვალოს

უარყოფითად დასრულებულად და მიენიჭოს სტატუსი - „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით“

2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს კონკურსანტებს: დავით ბოლქვაძეს და გიორგი წულაძეს.

3. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 4 სექტემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მითაიშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ირაკლი ახალაძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნინო ბერაძე

ვახტანგ ღლონტი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე

სალაროს შემოსავლის ორდერი # 8157365

კოდი: REPLGE22

ბანკში შემოსვლის თარიღი: 25-Aug-14

გატარდება ბანკის მიერ: 25/08/2014

მომსახურე ბანკი	სს ბანკი "რესპუბლიკა", ბათუმის ფილიალი
მიმღები	ს.ს.ი.პ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (ყოფილი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო)
შემომტანი	დავით ბოლქვაძე
საბუთის მონაცემები	პირადობის მოწმობა: ა 0740294, პირადი #: 61002008910
შემოტანის დანიშნულება	კონკურსში მონაწილეობის საფასური, დავით ბოლქვაძე - 61002008910 უნიკალური კოდი N 1280
ოპ.კოდი:	32

სახაზინო კოდი:

დებეტი ანგ. N: 90051003000000

კრედიტი ანგ. N: GE52 BR00 0001 0591 7185 43

თანხა: 50.00 GEL

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

15E783E1

ოპერ. 21774

შემომტანი:

მოლარე:

ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ბათუმის ფილიალი
BATUMI BRANCH
ს.ბ.კ. CODE REPLGE22
5
ბ.ა.

ქალაქ ბათუმის მერი

THE MAYOR OF BATUMI

N 25/16692
04/09/2014

16692-25-2-201409041655

დავით ბოლქვაძეს
მცხ. ქ. ბათუმი, კობალაძის ქ. №9, ბ. 26

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიამ ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ № 1280 კონკურსში, მიიჩნია, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახუ-რების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამი-სად და კონკურსის (N1280) საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის თანახმად, თქვენ დისკვალიფიცირებული ხართ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ, ტბელ აბუსერისძის ქანდაკების მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსში (N1280).

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე,არაუგვიანეს 2014 წლის 4 სექტემბრისა.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

სალაროს შემოსავლის ორდერი # 8155225

კოდი: REPLGE22

ბანკში შემოსვლის თარიღი **23/08/2014**

გატარდება ბანკის მიერ **23/08/2014**

მომსახურე ბანკი	სს ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალურის ს/ც #13 (ვაჟა-ფშაველა)
მიმღები	ს.ს.ი.პ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (ყოფილი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო)
შემომტანი	გიორგი წულაძე
საბუთის მონაცემები	პირადობის მოწმობა: გ 0066013, პირადი #: 01010001937
შემოტანის დანიშნულება	საკონკურსო წინადადების წარდგენის ღირ.განც. N 1280 ,ქ.ბათუმის მერია ს/კ 245576826კონკურსანტი: ფ.პ გიორგი წულაძე 01010001937

ოპ.კოდი: 32

სახაზინო კოდი:

დებეტი ანგ. N:
90361005000000

კრედიტი ანგ. N:
GE52 BR00 0001 0591 7185 43

თანხა

50.00 GEL

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

15E73330

ოპერ. 16912

შემომტანი:

ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი

მოლარე:

ბ.ა.

37/4

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის

საკონკურსო კომისიას

ფ/პ გიორგი წულაძის

პ/ნ 01010001937

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ ბათუმში ფ. ხალვაშის გამზირისა და აეროპორტის გზატკეცილის შეერთებასთან მიმდებარედ არსებულ წრიულ სკვერში ტბელ აბუსერიძის ქანდაკების ესკიზის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით (განაცხადის ნომერი 1280) ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 5000 ლარს.

პატივისცემით

გიორგი წულაძე

ტბელ აბუსერისძის ქანდაკება

დიდი მოაზროვნის, საეკლესიო პირის, XIII საუკუნის მწიგნობარისა და დიდი განმანათლებელის ტბელ აბუსერისძის მემორიალი ჩვენი საავტორო კოლექტივის სახით წარმოადგენს სიმბოლურ მონუმენტურ ქანდაკებას. ქანდაკების ზომა მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს 4 მეტრს. დიდი მოღვაწე წიგნითა და ჯვრით ხელშია გამოსახული, კეცილი სამოსი ძეგლს სიმბოლურს და მონუმენტურ ხასიათს ანიჭებს.

ქანდაკების დასადგმელი ადგილიდან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ პედესტალი მრგვალი და ასევე სიმბოლური დატვირთვის ყოფილიყო. ქანდაკების პედესტალი გეგმაში ჯვრის ფორმას წარმოადგენს, შემაღლებულ ცენტრში კი უშუალოდ ქანდაკების კვარცხლბეკია განთავსებული. ქანდაკებასთან ოთხივე მხრიდანაა შესაძლებელი მისვლა კიბეებით. ქანდაკების მასალაა ბრინჯაო, პედესტალის მასალად შევარჩიეთ გრანიტი და მარმარილო. გარშემო კი მწვანე გაზონი მოეწყობა. ჩვენი აზრით მემორიალი ორგანულად ჩაეწერება და შეკრავს მოცემულ გარემოს.

პატივიცემით

მოქანდაკე:

გიორგი წულაძე

არქიტექტორი:

ოტია იოსელიანი

გიორგი წულაძე

მოქანდაკე

www.georgetsuladze.com
ტელ: 599 76 08 09

დადგმული ქანდაკებები:

1988 ბავშვთა ქალაქი – მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკებები
სარატოვი, რუსეთი
1989 "წიქარა" – ბავშვთა სამყარო, თბილისი, საქართველო
1989 9 აპრილის მემორიალი - თბილისი, საქართველო
1990 "ახალი საქართველო" – თბილისი, საქართველო
1997 მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალი - ჯავახიშვილის სახლმუზეუმი. წერაქვი
საქართველო
1997 ილია ჭავჭავაძის ბიუსტი – თბილისი, საქართველო
1998 გიორგი ჭანტურიას მემორიალი – თბილისი, საქართველო
1999 ზურაბ ანჯაფარიძის ბიუსტი – ქუთაისი, საქართველო
2000 გალაქტიონ ტაბიძის ბიუსტი – ფოთი, საქართველო
2000 გოგი ცაბაძის მონუმენტი – თბილისი, საქართველო
2001 გრიგოლ ხანძთელის ბიუსტი – თბილისი, საქართველო
2002 ანთიმოზ ივერიელის მემორიალი – თბილისი, საქართველო
2003 გენერალ შ. ჭანკოტაძის მემორიალი – თბილისი, საქართველო
2006 აკადემიკოს ა. ღვამიჩავას ბიუსტი – თბილისი, საქართველო
2006 ილია ჭავჭავაძის მემორიალი – ბორჯომი, საქართველო
2007 ცოტნე დადიანის მემორიალი – ხობი, საქართველო
2008 ვლადიმერ დვალიშვილის მემორიალი – თბილისი, საქართველო
2009 ლანჩხუთის რაიონის შესასვლელი - საქართველო
2010 აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ბიუსტი – თბილისი, საქართველო
2011 დაღუპულ მედიკოსთა მემორიალი – გორი, საქართველო
2013 რუსეთ-საქართველოს ომის მემორიალი – რუსთავი, საქართველო

ფ/პ გიორგი წულაძე

პ/ნ 01010001937

ს/კ 104925271

მის: თბილისი, ნუცუბიძის პლატო IV მ.რ-ნი კ6/1

599 76 08 09

tsuladze@yahoo.com www.georgetsuladze.com

სს "თიბისი ბანკის" ვერის ფილიალი

საბანკო კოდი (მფო) – 220101818

მიმღების დასახელება: გიორგი წულაძე

ანგარიშსწორების ანგარიში – 17801 GEL

XIII სუკუნის მწერალის და ჰიმნოგრაფის

ტბელ აბუსერისძის ქანდაკება



ქალაქ ბათუმის მერი
THE MAYOR OF BATUMI

N 25/16690
04/09/2014

16690-25-2-201409041652

გიორგი წულაძეს
მცხ. ქ. თბილისი. რუსთაველის გამზირი. N34

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიამ ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ №1280 კონკურსში, მიიჩნია, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, კერძოდ ნამუშევრის ვიზუალური მხარე და არქიტექტურული კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2014 წლის 4 სექტემბრისა.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge